

ტის ნაკეს წინადადება შესახებ ცოლ-ქმრობის გაყრახედ.

ძალი საფრანგეთში, საზოგადოდ, უფრო ცუდ მდგომარეობაშია დაყენებული, ვიდრე, მაგალითებზე, რუსეთში. საპოლიტიკო წარმატება და საზოგადო განვითარება, რომლითაც საფრანგეთი თვალსაჩინოდ არის წინ წამდგარი, თითქმის სრულიად არ მიჰკარებია ქალების ყოფა-ცხოვრებას მათს, როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო, შინაურ მდგომარეობას. მაგალითებზე, ცოლს არ შეუძლიან იქონიოს არავითარი საკუთრება, ყოველი მისი ქონება ქმრის ხელშია; ცოლს ფულის მოხმარება ქმრის დაუკონტროლებლად არ შეუძლიან. საფრანგეთში ცოლ-ქმარს შეუძლიან კანონით გაეყარნენ ერთმანეთს, ესე იგი, შეუძლიან ცალ-ცალკე იცხოვრონ, მაგრამ ამ გვარ გაყრას არ მოსდევს ის შედეგი, რომელიც მოსდევს, მაგალითად, ცოლ-ქმრის გაშვებას რუსეთს კანონით.

რუსეთში, როდესაც ცოლ-ქმარნი კანონით უშვებენ ერთ-ერთმანეთს, ამას აუცილებელიც მოსდევს თვით ცოლ-ქმრობის სრული გაუქმება; ერთ-ერთს, ან ცოლს, ან ქმარს შეუძლიან ხელმეორედ გათხოვდეს, ან ცოლი შეირთოს. საფრანგეთში კი, როდესაც კანონი ნებას აძლევს ცოლ-ქმარს განშორდნენ ერთი-ერთმანეთს, ამით ცოლ-ქმრობა სრულიად არ არის გაუქმებული: არც ცოლს, არც ქმარს არ შეუძლიან გათხოვდეს, ან ცოლი შეირთოს; ცოლს არ შეუძლიან იქონიოს საკუთარი ქონება და მოიხმაროს თვისი შეძლება ქმრის ნება-დაუბრუნებლად, და სხვ.

ღიღი ხანაა საფრანგეთის ზოგიერთა მწერალნი და მეცნიერნი ქადაგობენ ამ ყოველ-შეუძლებელს მდგომარეობის მოსაზრებას. მაგრამ, ხო მოგვხსენებთ, რა კი ხალხს მკვიდრად გაუჯდება რომელიმე ჩვეულება და კრუ-მორწმუნოება, მისი გაქარწყლება ადვილი არ არის. ამიტომ ამაოც ჩაიარა შემოსწავლულ მოღვაწეთა ქადაგებამ. უქმად ჩაიარა აგრეთვე ნაკეს

წინადადებაშიც აწინდელის კანონის გაუქმებისათვის და ქალების განთავისუფლებისათვის. მხლა, რასაკვირველია, საფრანგეთის ქალებს უფრო მეტი კეთილის მარსურნი ჰყავთ, ვიდრე უწინ, და იმედია, რომ მომავალი პალატი უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს მათს მდგომარეობას, ვიდრე აწინდელი.

ახალი ამბავი

თფილისის არხეოლოგიური ძეგლი მიტეტი აცხადებს, რომ მეხუთე კრებასა საყოველთაო არხეოლოგიისა ამ 1881 წლის 8 ნოემბრისთვის იქნება თფილისში. მისაც ხსენებულ კრებაში დასწრება ჰსურს, შესასვლელის ბილეთის აღება შეუძლიან კომიტეტის თავმჯდომარის დენ. ალ. მ. ძომაროვისაგან, ანუ ამავე კომიტეტის სეკრეტარის მ. ზ. შეიდეზაუშისაგან. ბილეთი 3 მან. 60 კაპ. ღირს.

ძვეკასიის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელს ჟურნალში სხვათა შორის დაბეჭდილია ვრცელი და საფუძვლიანი სტატია თ. ზ. ჯორჯაძისა არაყის აქციონის თაობაზე. მოგვხსენებთ, რომ ძვეკასიის აქციონის გამომხდისათვის აქციონი (ბაჟი) მოგმატოსო, თითო ევროლიან ცეცხლის ქვებზე გარდახდეს დღეში 46 კაპ. და ორთქლის ქვებზე კი 81 კაპ. თ. ზ. ჯორჯაძის მთელი ზემოხსენებული სტატია დამყარებულია იმაზე და ამტკიცებს, რომ ეს აქციონის მომატება დიდათ საგძრძობელი და დამაზარალებელი იქნება ჩვენი მეურნეობისათვის და არც ხაზინას შესძენს ბევრს რამესო.

ზუგდიდიდამ გეატყობინებენ, რომ ჩვენა მაზრის თავად-აზნაურთა ახლის წინამძღოლის თ. ნ. მ. ლაღიანის მოწვევით, ამ თებერვლის დამლევით

სათვის დ. ზუგდიდში უნდა მოგროვდნენ მთელი მაზრის თავადნი და აზნაურნი და უნდა მოილაპარაკონ იმ ღონის-ძიებაზე, რომლითაც ქურობის მოსაზრება თუ არა, შემცირება მაინც უიძლებდესო. ჩვენს კორრესპონდენტს იმედი აქვს, რომ ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურობა თავის კეთილ-გონიერ და ყოველ საზოგადო საქმის გულ-შემატკიფარ წინამძღოლის თაოსნობით, ყველა საშეაღებას იხმარს, რომ ამ სამეგრელოს საზოგადო სენს ბოლო მოეღოს.

ჩვენის გაზეთის ერთს ნომერში იყო შარშან მოხსენებული, რომ შორაპნის მაზრის სოფ. რკანში მოპკოეს (მძინარეს თავი მოსჭრეს ნაჯახით) ერთი თოთხმეტის წლის ყმა-წილი, გვარად ნარიმან სამხარაძე. ამ მკვლელობას აბრალებდნენ მოკლულის რძალს სალომე სამხარაძისა და ამის ბიძას როსტომ შამთელაძეს.

ამ საგნის შესახებ ახლა გეაცნობებენ, რომ მუთაისის ოლქის სსს-მართლოს გავლილ 18 ქრისტეშობისთვის განუხილავსეს საქმე, ხსენებული ბრალდებულნი დამნაშავედ უცნა და როსტ. შამთელაძისათვის გარდაუწყვეტა თორმეტის წლით ციმბირში გაგზავნა კატორღაში სამუშაოდ და სალომე სამხარაძისათვის ათის წლით ციმბირი.

ამბობენ, მუთაისის ზოგიერთი დიდ-კაცობა და იქილი შამთელაძისა ცდილობენ თურმე თავდების ქვეშ ამის განთავისუფლებას სატუსალოდამ და ეს ამბავი ძალიან აწინებს თურმე მოკლულის ერთად-ერთ ძმას, რომელსაც დამნაშავე მოკვლას ემუქრებაო.

ზორიდამ გვწერენ, რომ მომავალ ორშაბათისათვის იქაურ ქართულ სკენის მოყვარეთა აქვთ ქართული წარმოდგენა ზორის როტონდამო. თ. აკაკი წერეთლის დრამის „მუდურხანუმის“ წარმოდგენას აპირებენ.

სოფ. ბაღდადიდამ (იმერეთში) შემოგვიხივინა, რომ აქაურნი მთავრად მსაჯულის თანამდებობაზე რეზერვული ბ. სკანდაროვი ერთობ უმართებულოდ და შეუსაბამად გვეყობაო. ამ სიკეთის გარდა ეს ბატონი იმდენად ბეცია, რომ თუ სხვას არ გაუყარა ხელი-ხელს და გაჰყვა, ისე ან რამეს წააწყდება ან სადმე გადაიხეხებო; წერს ერთობ გვიან და იმასაც კაცი ვერ ამოიკითხავს საწერელში რომ უნდა კალამი ჩაჰყოს, აცილებს და სტოლს ურაკუნებს თქო მელანს იღებდეს და ყოველ წინა სტრიქონში მას შემდეგ სტრიქონს უმატებს ბეცი თვალების წყალობითო.

პორრესპონდენტს, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითები მოჰყავს: „წასრული წლის 16 დეკემბერს ირჩევოდა ძმათა ჩარკვიანების საქმე სადავო გზის თაობაზე მოპასუხე-ძმამ (მღვდელმა) სთხოვა მსაჯულის თანამდებობის აღმასრულებელს რომ: ა) ან ადგილი იქმნეს დათვალიერებული და მითი თვით მმართლ-მსაჯულება დარწმუნდეს იქ გზის აუცილებელს საქმეობას, ბ) ან კიდევ მოწმეთა დანიშნვის უფლება მიეცეს და გ) ან დროებით მაინც მიენიჭოს იმ გზით სარგებლობის უფლება. მაგრამ ამ თხოვნის შეწყურების მაგიერ ბ. სკანდაროვმა გინება დაუწყა მოპასუხე მღვდელს და მთარგმნელს უბრძანა, რომ გარედ გაეგდო სულიერი ძამა... მითხელ, როცა ერთს სადავო ადგილს ათვალიერებდა, ჩვეულებრივად სხვასთან ხელი-ხელს გაყრილი, ხელი უშვა თავის ბადრავს (გზის მაჩვენებელს), გადასცდა გზას და, რომ არ მიშველებოდნენ ის-ის იყო წყაროში აპირებდა ჩაეარდას“.

რა პატივისცემა უნდა ჰქონდეს იქ ხალხს მმართლ-მსაჯულებისა, სადაც ამისთანა კაცები კანონის წარმომადგენლებად არიან? ან როგორი უნდა იყოს იქაური მმართლ-მსაჯულება, სადაც ამისთანა მომხმარებელი ჰყავს? *

ძახეთადამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

— თუ კი მამა მყარდეს, ასე დამტოვებდა?

— მოიცა, საი, დაუძახა ოზიდამ, მე ამიტომ მიველი, რომ შინ უნდა წაგიყვანო.

— ანა, მე არ მინდა არსად წასვლა! ღაიძახა ყმაწვილმა და იმ წამს გარეთ გავიდა.

— საწყალი! წამოიძახა ოზიდამ.

— ბატონო, უთხრა ოზიდას მასპინძელმა, ეს უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა მაგის წაყვანა ძნელია... ჯერ მოვამზალოთ და მერე წაიყვანეთ... მორემ ყმაწვილი ჩვენ შეგვიყვანა და ვინ იცის, ახლა რომ წაიყვანოთ, დარდისაგან რა მოუფიდეს.

— მე მართალია. მე ახლა წავალ და ხშირათ მოვალ ხოლმე და როსაც შემეძლება მისი წაყვანა, მითხარით. ახლა კი ნახვამდის!.. ოზიდას წასვლის შემდეგ საი გა-

ვიდა სახლიდამ სასიერნოთ. ჯერ მზე არც კი იყო. ჩასული; გადახრილი მთებისაკენ ის ესროდა სხივებს მაღალ თოვლიან მთის წვერს, რომლის სისპეტაკე და მღვლეარება იმ დროს იზიდავდა საის ყურადღებას. საი დაფიქრებული იდგა ხევის ნაპირას და უყურებდა ბუნების სიმშვენიერეს. ის შექრთა საშინლათ, როდესაც დაინახა ვიღაც კაცი, რომელიც ღამით მისკენ მოდიოდა.

— რა გინდა ჩემგან? ღაიძახა საიმ

— არაფერი.

— მაშ რათ მოდიხარ ჩემთან?

რათ მიყურებ?

— იცი ვინ იყო ის კაცი, რომელიც თქვენსა იყო?

— არა.

— ის იყო პაპამენის მკვლელი.

უთხრა უცნობმა კაცმა.

— როგორ?

— ის იყო, განაგრძობდა მან, გარდა იმისა დედიშენის მტანჯავი.

— არა... არა... ის ხომ მამა-ჩემი იყო...

— რა უყოთ! ზანა მამაშენს არ შეეძლო მოეკლა პაპამენი?!

— არა!.. როგორ!?

— იცი სისხლის აღება რა არის? ჰკითხავდა უცნობი კაცი.

— როგორ არ ვიცი! მიუგო აწითლებულმა საიმ.

— ბარაქალა! ჯერ შენ ბავშვი ხარ, მაგრამ იცი, რომ ყოველი კაცი სისხლს არაყის არ შეიარჩენს... ჯერ შენ ბავშვი ხარ, მაგრამ ისიც მგონი გესმის, რომ კაცი ფერებას არ უნდა აჰყვეს... თუ შენში ვაჟკაცური სისხლი დგას... თუ შენ ხარ პაპამენის ჩამომავალი... ბადაუხადე მაგ კაცს მტრობა და ლალატობა მამულისა... ის ჯერები, ის მენდლები, ის სიმდიდრე,

რომელიც აქვს შეიძინა ჯაშუშობით... თუ ვერ გადუხბი, შენ იქნები ღვთისგან დაწყველილი...

— შენ ვინა ხარ? ჰკითხამდა აღელვებული საი.

— მე, მიუგო უცნობმა კაცმა, ვარ შენი მეგობარი — ჰამბულატი.

XI

ზაიგო თუ არა ჰამბულატისაგან თავისი პაპის ამბავი, საის, როგორც ყმაწვილის, ძალიან ჩაჰყვა გონებაში და თითქმის მას დღე-ღამე მამის მოქმედება თვალშიდამ არა შორდებოდა. მინც კი შეხედებოდა, ყველას ჰკითხავდა თოვლის ამბავს. შევლანი, რასაკვირველია, მის ქებას ეუბნებოდნენ. საის უფრო და უფრო შესძავდა თავისი მამა ოზიდა, რომელსაც კარგათ არ იცნობდა და რომელზე-



სოფ. მანძიანს, თელავის უფლებში, და ზოგიერთ ქვემო-მხრის სოფლებში გავრცელებულია ავთომყოფობა საოფლოე და ამ ჭირის მოსასპობლათ ყურს არავენ იბღერტავს. არსად ექიმი, არსად წამალი!.. მთელ ამ მხარეს მართა ერთი ექიმი ჰყავს, რომელიც ყველას ვერ ვასწავლება და ორიც ფერშალი, რომელიც ისე განვითარებულნი არიან ექიმობაში, რომ საღ ადამიანს თუ გაისტუმრებენ საიქიოს, თორემ ავთომყოფს სააქაოს-კი არ დაბრუნებენ.

„მართა ერთ ს. მანძიანში ოც სულამდე იქნება დაზარალებული ამ საშინელი ჭირისაგან და ერთი მესამედი მათგანი, ყველა სიკეთესთან, უზიარებლები დაიხრცა. აქაური მღვდელი იმით ხელმძღვანელობს, რომ ავთომყოფები აღსარებას ვერ შეუბნებიათ და როგორ ვაზიაროვო. ამ სულიერ-მამას, ყველა სიკეთესთან, ტყუილიც სკოდნია და ეს ტყუილი უმიზნოთ კი არ არის გავრცელებული; ამ მიზეზით ის თავიდან იშორებს მშობრობას, რომ ვითომ მე იმ სენის კი არ მემინიანო, მაგრამაო ზემო მოყვანილის მიზეზით ვერ ვაზიარებო... ახლა წარმოიდგინეთ ხალხს მდგომარეობა: ცალკე ეს საზარელი სენი და ცალკე ამ სულიერი მამის ქცევა...“

იგივე კორესპონდენტი ვეცნობებს: ახლა ორიოდ სიტყვა თელავის ავთიქარზე. ს. მანძიანს მოიწვიეს ექიმი მოლოზოვი საოფლისაგან გამხდარ ავთომყოფთან. ექიმმა, ავთომყოფის გასინჯვის შემდეგ, დასწერა რეცეფთი და ზედ შემდეგი სიტყვები წააწერა: „ფრიად საჩქაროდ“ და ამასთან ზედ დაუმატა, რომ ბიჭი პირდაპირ თელავის კლუბში მივიდესო, ავთიქარი იქ იქნებაო. ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა ბიჭი მივიდა კლუბში და ავთიქარს შეუგზავნა რეცეფთი; მაგრამ დიდხანს მოუწდა პასუხის ცდას, რადგან ავთიქარი ქალაქის თამაშობაში გართული ბძანდებოდა. შუალაშე ვარდასული

დაც მოამეტებულს ცუდს ლაპარაკობდნენ. ბოლოს-და-ბოლოს, როდესაც რუსის მართებლობისაგან ჯილდო მისდიოდა ხოლმე, მისტებს თანდათან ეჯავრებოდათ ოზიდა; ბოლოს თითქმის დალატობის ხმაც დაუვარდა. ჰამბულატიც ყოველ დღე მოდიოდა საისტან და აძღვედა დარიგებას როგორ მოქცეულიყო თავის მამასთან, და ამნაირად ნელ-ნელა საშინლათ შაძულა.

მართხელ, როდესაც საი ჰკმაზავდა თავის პატარა მთის ცხენს, ოზიდამ შემოაჭვნა ცხენი ეზოში; რომ დინახა სახლის-პატრონი გარეთ გამოსული, პირველათ იმას მისცა სალამი და მერე მიუბრუნდა თავის შვილს, რომელიც გავიროვებული უყურებდა ოზიდას.

— საი, მოდი, მომეხევი! საიმ სრულიად ყურადღებდა არ

იყო, როცა ის ზღაზენით გაემგზავრა ავთიქისაკენ. როგორც იქა წამალი მიეცა ბიჭისათვის და მეორეს დღეს ნაშუადღევს ძლივს დაბრუნდა ბიჭი უკან.

„მოლოზოვისა. რომელსაც ღამე ავთომყოფთან გაატარა, დახედა თუ არა წამლებს, შუბლი შეიჭმუხვნა და მხრები აიწია და სთქვა, რომ ეს წამლები ძრიელ დუნე გაუკეთებიაო, მაგრამ არა უშავს-რაო, ასეთიო; რეცეფთი მოხია და თან წაიღო, მეფთიქარს ერთ-ყოფას დაუწევო.“

„ის კი არ ვიცი ავთიქარს რა უყო ბ. მოლოზოვმა და ეს-კი ვიცი, რომ იმდღეს ავთომყოფს ასევე წამლი და მეორე დღეს კიდევ სული განუტევა.“

„დროშის“ კორესპონდენცია

ზოთი, 5 იანვარს. ეს ორი წელიწადია, რალც სხვანაირათ მოძრაობს ზოთის ჰაერიც და ხალხიც, რალც ცვლილება მიეცა ხალხსაც და ჰაერსაც. შარშან ახალ წელიწადს დღეს ერთმა მატროსმა თავის ამხანაგი განუბრუნებულს პლიტაზედ დაბძინა და ლახათიანათ შეხრუკა; წრეულს ახალწელიწადს დღესვე ერთმა იმერელმა თავის მეგობარს მეგრელს დიდის სიყვარულობით და ბახუსის ბძანებით მილოცვის დროს კოცნაში ცხვირი მოაკენიტი; შარშან ერთის მხრით ზღვამ ააშენა ზოგიერთი ვაჭრები ზოთში და ბათუმში, მეორეს მხრით ცეცხლმა ათი წლის ძველი დალაქაგებული და მოდიდან გადავარდნილი საქონელი ახლის ფასათ გაასალა; ერთს მხარეს შენდება ზოთი, მეორეს მხრით იწვის; ერთის მხრით ძაპარჭინამ ვადალეკა, მეორეს მხრით რიონი იმუქრება; აქ ბუხტი კეთდება და ვათავენას აღარა ვმეველა-რა; აქ ბათუმის რკინის გზის მუშაობის დაწყებით ამ ბუხტს ემუქრებია. არ იცის რომელ ერთს ჭირს გაუძლოს ზოთმა...“

ამ სხვა-და-სხვა ჭირებთან, ჯიბის დამცარიელებელი პირებიც შემოგვე-

მაიქცია მის თხოვნას და ისევ ისე გულ-გრილათ დაუწყო ცხენს წმენდა.

— საი, მამაშენი ვერ იცანი? მოდი! მოდი ჩემთან!

— მე, მიუგო ამღვრეულის ხმით საიმ, მამა არა მყავს... არ გიცნობ ვინახარ...

— შეურე, მოუბრუნდა ოზიდა სახლის-პატრონს, ჩემი საკუთარი შვილი მევე ვერა მცნობს... ნუ თუ ამისთანა ამბავი შეიძლება მოხდეს სადმე?

— შეიძლება! დაიძახა საიმ—მე შენ არ გიცნობ... რას ჩამაცვიდი... მამაჩემი რათ იქნები... მეჯავრები... მეზიზღები... წადი, დაიკარგე...

— შენ, დაუყვირა გაცეცხლებულმა ოზიდამ, რაებსა ბოდავ? გაჩუმდი!..

— ბავშვადმე?.. მე გაჩუმება არ შემიძლიან! რაც მართალია, მართალია!

ჩვიენენ; საითაც გაიხედავთ კედლებზედ აკრულს ნახავთ სხვა-და-სხვა აფიშებს; ერთი აფიშა ცირკში იწვივს ხალხსა, მეორე ლიტონის თეატრში, მესამეც მშტეინის შაგირდის ფოკუსების წარმოდგენაში. შარშანდელი ღამის ყარაულები ფხიზლათ იძინებდნენ, ცარიელს ყუთსაც არავის წაღებინებდნენ, წრეულს კი სამსე შაქრის ბოჩკასაც სკლიან და ყარაული ვერ ივებს; შარშანდელი კორესპონდენციები სიმართლით იწერებოდა, და წრეულს კი ზოგიერთ კორესპონდენტების ჭიკრუფე შეემჩნია: № 20 „დროებაში“ „ნარევში“ დაბეჭდილია, ვითამც შათმანს-ხათუნს ორი კაცი იმერელი და მეგრელი ეავთანდილე-ბოდნენ და მეგრელმა უპირატესობა მიიღო შატმანს-ხათუნისაგან... საკვირველია, ამისთანა ცილის-წამება მით უმეტეს, რომ სრულებით არც არავინ ფატუნობდა ავთანდილებისათვის, და არც არავინ ავთანდილობდნენ შატმანისათვის. შატმანობა და ავთანდილობა აღბათ დასამშვენებლათ არის მოგონილი კორესპონდენციისა. იმერელმა ცხვირი მოაკენიტი მეგრელს არა განძახეთ, ანუ რამის შურით, არამედ სახალწლოთ შემხადებულის ოტკის და ბახუსის ბძანებითა, და ვინ იცის, თუ დასკლიყო იქნება მეგრელს იმერლისათვის ფეხი ანუ თავი მოეკენიტი. ღღის შემდეგ არც ბედნიერი დღე უნდა მოულოცოს კაცმა კაცსა და აღარც არავინ უნდა მოიწვიოს სახლში პატივსაცემლათ, თორემ თქვენი მტერი, თუ ბახუსის მიზეზით კაცებში რამე მოხდა, ამისთანა კორესპონდენტები ცოლს შატმანს-ხათუნათ გაგინდიან და სტუმრებს ავთანდილებათ;

ტორღლა.

რუსეთი

მრთს ინგლისურს გახეთში დაბეჭდილია ერთის ინგლისელი მაიორის,

მართალია, ყმაწვილი ვარ, მაგრამ...

— ბრცხენოდეს, საი, მამაშენს როგორ ეუბნები მაგას... შთხრა შეწყუხებულმა მასპინძელმა.

— რათ შემრცხვება! მაგას უნდა რცხვენოდეს, რომ...

— რას ამბობ, რას?! შეჭდრიალა ოზიდამ.

— ამას ვამბობ, რომ შენ თავის დღეში არ დამენახო... თორემ... თორემ ღმერთსა ვფიცავ... ვინ იცის რას არ მოვასდენ...

— უჩიო, დაწირაკო, გაჩუმდი!

— არ გაჩუმდები!..

— მამ შენ მამაშენს აღარ ემორჩილები? ჰკითხამდა აღვლევებული ოზიდა.

— არა!

— მართლა? — ჰო, მართლა! თავის დღეშიც არა!...

ბოტლერის წერილი შესახებ რუსეთის ომისა თურქმენებთან. ბოტლერი თურქმენებს სიყვარულს მომხრებათ, და ჰკიცხავს ამ უკანასკნელის გაუმჭირაზობას, რომ ვერ გაიცნო ეს ხალხი და ამით თავის-თავისათვის სასარგებლო პოლიტიკას ვერ მიჰყო ხელიო.

„მე ვმოგზაურობდი 1878 წელში, განაგრძობს ის, ახალ-თელავში და შევისწავლე ეს მხარე. მე დავხატე ბეოქ-თევს გამაგრების პლანი თურქმენებისათვის, და გარდავეცი კიდევაც იმაო ეს პლანი, რომ გამაგრონ. ეს ის სიმაგრეა, რომელსაც 1878 წელში მოადგნენ რუსები დენ. ლომაკინის ჯარით და იძულებული იყვნენ უკან დაეწიათ. თუ კიდევ წამოიწვევენ რუსები წინ აღმოსაველეთისაკენ, შეხვედებიან ორს ამ გეგმასვე სიმაგრეს, რომელთაც ცოცხალი არ დაუთმობენ მამაცი დამცველნი ამ სიმაგრეებისა.“

„რუსებმა ძალიან ოსტატურად გაავრცელეს ხმა, რომ მთელი ის მიწები, რომლებს დასაპყრობლად ჩვენ ვიბრძვით ვხლოა, მხოლოდ ერთ უნაყოფო უდაბნოებს წარმოადგენენო, და ქალაქ მეგრისაკენ იმიტომ ვიწვეითო, რომ თურქმენების ავაზაკობა აღმოვეხროთო. ეს სიტყუევა: რუსებს ჰსურთ დაპყრან მშვენიერი და ნაყოფიერი ქვეყანა, რომლისაგანაც შეიძენენ მრავალ სიმდიდრეს და საუკეთესო მხედართ.“

„ამას გარდა ყოველი გამოცდილი მხედარი უნდა მიხედეს, რომ ამ ადგილებიდან იდასტანში და ავღანში გარდასვლა რუსებისათვის ძალიან ადვილი იქნება. თუ 1878 წელს რუსეთი არ გაელაშკრა ინდოსტანზე, თუმც ჯარები მზათ ჰყავდა, ამის მიზეზი იყო, რომ ის თურქისტანს არ ჰტოლობდა.“

„მადეიარებ, რომ, თითქმის ორი წლის განმავლობაში, მე ვამაგრებდი ბეოქ-თევს. მე შევაჩერე რუსის ჯარი, რომელიც გადმოდიოდა ავღანში და უნდოდა ქ. მეგრე დაეჭირა. მევედრი ღმერთს, რომ ის ორი სი-


— მამ აი შენ რაც გინდა! უთხრა გაცეცხლებულმა ოზიდამ და ერთი საშინელი სილაა ვაარტყა.

— მთლათ აწითლებული, თვალცრემლიანი საი წამოხტა.

— მოიცა... შენ დაიხსომე... გახსომდეს ეს სილა. იცოდე... რომ მე არას შევარჩენ... გეშინოდეს ჩემი... გეშინოდეს შენი შევილისა, მამის მკვლელო!..

ამ სიტყვების შემდეგ, ტირილით გაავრდა გალავნის გარეთ; მასპინძელი უკან გაჰყვა. ბავშვებური და გამმაგებული ოზიდა დარჩა მართაკა. ბული საშინლად უტყმდა, — ხელები უკან კალბდა...

მ. ჯორჯაძე.
(გაგრძელება)



მაგრეები, რომლებიც აგრეთვე ჩემი გამაგრებული არიან, ისე მამაცურად იქნეს დასული, როგორც ბეოქ-მე-პეს სიმაგრე იყო.

„მე არ შეეცხები სხვა პოლიტიკურ და მხედრობით მოსაზრებას, მაგრამ მხოლოდ ერთს ვითხოვ, რომ სანამ ჩვენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიეცემოდეს ნება მერვის დაფლობისა, გარდინდოს ის შენიშვნები სხვა და სხვა მოგზაურთა, რომელთაც საკმაოდ გაუცქნიათ და შეუწყაველიათ ეს თურქმენების მხარე...“

უცხოეთი

საზრანგეთი. პრთი ნემეცური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება თავის ნალაპარაკებს ერთ ბამბეტას მახლობელ პირთან, რომელსაც სხვათა შორის უთქვამს იმისათვის შემდეგი:

„თუ იმ წერილს, რომელიც ამას წინაღ იყო ერთ თქვენებურ გაზეთში, ის აქვს მიზნით, რომ ბამბეტას სახელს აწიოს, ვერ მიახწევს ამ მიზანს. შარესებოც მოხედება ბამბეტას ამ ამორჩევის წინ. შედეგი ის ექნება ამ გვარ ბამბეტას წინააღმდეგ წერილებსა, რომ ისინი უფრო ააღელვებენ მისს მომხრეებს. რესპუბლიკურ შარსიას ძალიან კარგათ ვსმის, რომ მთელი ბამბეტას ყურადღება ეხლა შინაგან საქმეებზე და მომავალ ამორჩევებზედ არის მიქცეული, საბერძნეთის საქმეებზედ ის თითქმის სულ არ ჰფიქრობს ამ ქვამდ.“

„თუ გერმანიას ჰგონია, რომ მისი თავგამოდება, რომელშიაც იხატება მხოლოდ ერთი მუქარა საფრანგეთის პოლიტიკისადმე, თუ ჰგონია, რომ ამ გვარი მისი ქცევა საფრანგეთზე დიდ ზედ-მოქმედებას იქონიებს, შემცდარი. ამით მხოლოდ ის გამოდის, რომ საფრანგეთი უფრო მკვიდრად ეკიდება თავის შინაგან საქმეების გაუმჯობესებას. ახლა საფრანგეთს არასდროს არ ეშინიან. ახლა რომ სამხედრო ძალა ჰყავს, არასოდეს იმდენი არ ჰყოლია. სამხედრო საქმის მკოდნე კაცების აზრით, ექვსი თვის განმავლობაში საფრანგეთს შეუძლიან მოემზადოს საომრად.“

„მაგრამ საფრანგეთს მშვიდობიანობა უნდა, და ძნელათ გარდახვევინებენ მას ამ გზილამ. იმ შემთხვევაშიაც, როცა მის საკუთარ ღირსებას შეეხებიან, ის ეცდება, რომ შეიკავოს თავი და მშვიდობიანობა არ დაარღვიოს.“

სმრბია. სერბიის მთავარს—მილანს პოლკოვნიკის ნიკოლიჩის ხელით გაუგზავნა საბერძნეთის მეფისათვის პირველი ხარისხის ორდენი ტაკოვის ნიშანისა. ეს ამბავი დიდს სიამოვნებით მიიღეს მთელი საბერძნეთის გაზეთებმა. ბაზეთი მონ ამბობს, რომ

ეს პოლკოვნიკის ჩამოსვლა უმიზნოთ არ არის პოინაშიო. სჩანს, სერბიის მართებლობას ჰსურს დაახლოვებით გაიცნოს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, როგორც მართებლობა, ისე ჩვენი მხედრობაც სიყვარულით მიიღებენ ამ სერბიის მხედარს და გამოუცხადებენ მას იმ თანაგრძობას, რომელსაც საბერძნეთი მუდამ ვრძობდა და გრძობს სერბიისადმი. ექვი არ არის, რომ ყველა სამხრეთ-სლავიანებთან მხოლოდ სერბიელებთან შეგვიძლია ჩვენ მშვიდობიანური განწყობილება ვიქონიოთ.

ბანსხალეზანი

ცალკე ნომრები
„**დროებისა**“

თფილისში ისყიდება: შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში და თვითონ რედაქციაში (პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შეილების მოდის მაღაზიაში და ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა შოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კანდუქტორებთან.

სამუშაბათს; 17 თებერვალს
პართულის წერა-კითხვის ბაბა-ვრცალეზელი საზოგადოების სასარგებლოთ, თბილისის ქრუჯოკში იქნება გამართული

ბ ა ლ ი

ძალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. ძაველერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნღირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით.

ბილეთები ისყიდება საადგილ-მამულლო ბანკში 10-დამ 2 საათამდინ, შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში და ბალოს საღამოს „ქრუჯოკში“ 6—4

ერთს ვისმე ჰსურს მამულის ვადგა თფილისის მახლობლად. მსურველს შეუძლიან შავერდოვის გაზეთის სააგენტოში იკითხოს. (2—1)

ლონდონის მაღაზია

პრენის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად დასუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოლი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საბონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხე... (100—33)

ახალი სტამბა

ძოგსეს ვართანანცისა და აძხ.

განთავის ქუჩაზე, თ. ბუთოთავის სას-ლეში ამ დღეებში გავაღე ახალი სტამბა სრული მოწყობილობით და ვიდეო ვაკის ყოველ ექვსზე

როგორც გამოცდილი ამ საქმეში, მსესეს ვაკეზე, რომ ნამდვილად და სისი-დისიანათ შეეკარგულე ყოველ მოთხოვნილეს. (5—4)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სკილენის ნივთები გადასადნობად**—წმ. ბიორგის ეკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—15)

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX
 X სოფლადავში, ერეკლეს ქუჩაზე, X
 X მიწხოვევის (ხატისთვის) სას- X
 X ლეში, № 6 გაისხსა X
 X
 X **თელისა და კვავილენის** X
 X **მაღაზია** X
 X აქვე ისყიდება **წიგნები და** X
 X **შურნალენი** რუსულს და სსვა X
 X ექვსზე. (5—5) X
 XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

ეიადრე წვენი ხაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ხაი—1 მ. 40 კ.

— — — 1—20	— — 1—60
— — — 1—40	— — 1—80
— — — 1—60	— — 2—
— — — 1—80	— — 2—50
საუკეთესო—2—	— — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ტურქული, ჩაიდნები, ვასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, შინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—95)

ლონდონის მაღაზია კომპერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ შირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, კალიტებისა, ტურქლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაისიკებისა, შოკოლადისა, კაკოსი, დუხებისა, საბონისა, შხოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კადმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი ვლეშქეინი ზეთისა) და სსე. სააგენტო მაკინტოშის მოსასურნავეს გასასყიდლად

განთავის და სტავის და წამბ. ბუ-რანისა, აგრეთვე სუფლები და უსწდებისა ნოტინგჰამიდას. (100—25)

კვალაზედ უფრო ბევრი საქონელი გავეკახის აქეთა მსარეში **ინგლისის მაღაზიაში**, აწწრენის ვალდერეიაში: დირს სახასხავად.

ისქიდება სასამტრო მოსასურნავეები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურბები. 500,000 ვლიტეები, ფადსასუბი და ვადმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სსვაგან. 2ა—5

მიუხედავად იმისა, რომ ბაქა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვისსაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრბელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალადლოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში** სააგენტო ბარსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტის ვაკაო ჭრანის, რომელთაც დაიმსახურეს შარაიის მსოფლიო გამოფენასზედ ოქროს მეხდადი. გირვანქა არომტიული ჩაისა ლამაზი ჩაისიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაკრები მოიგებენ, თუ იეიდან ბლომთ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. სველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—22

კატანტიანი შროტაპები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სასურნაგებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაზ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წველის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის განფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სსე. **ინგლისის მაღაზიაში**. (100—93)

ინგლისის მაღაზიაში

თელისა

გაგ-გან-ტერი

მაგრებს თმს და ადრანდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაზ.

აქვე ისყიდება ქინის ზომასდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტეები იაზვის ტკივილის მოსასპობლად, ტუხალეტის საბონი, დუხები და სსე. (150—38)